ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის
სხდომის ოქმი №1

ქ.ლანჩხუთი **17.01.2020 წელი**
11.30 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე – **ვერიკო კვირკველია.**

სხდომას ესწრებოდნენ: კახა ბოლქვაძე, გოდერძი ქურიძე.
არ ესწრებოდა: კახა ასკურავა. (შვებულება)
სხდომის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვირკველიამ,** სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შოთა რუსთაველის ქუჩის მოსახლეობასთან კონსულტაცია აღნიშნულ ქუჩაზე II შესახვევის არარსებობის დადასტურების მიზნით.

/მომხსენებელი: ვერიკო კვირკველია/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ღრმაღელეში ქუჩის სახელდების შესახებ.

/მომხსენებელი: ვერიკო კვირკველია/

3. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ **ვერიკო კვირკველიამ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3

წინააღმდეგი -0

დამტკიცდა დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი.

1.დღის წესრიგის პირველი საკითხი- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შოთა რუსთაველის ქუჩის მოსახლეობასთან კონსულტაცია აღნიშნულ ქუჩაზე II შესახვევის არარსებობის დადასტურების მიზნით. კომისია მოსახლეობასთან კონსულტაციის მიზნით იმყოფებოდა რუსთაველის ქუჩის შესახვევში. რუსთაველის ქუჩის შესახვევი №2-ში მცხოვრებმა სოფიო კანდელაკმა (პ.ნ.27001002010), განმარტა, რომ 13 წელია ცხოვრობს ამ მისამართზე, რეგისტრირებული აქვს უძრავი ქონება და ამ ქუჩას II შესახვევი არასდროს ჰქონია.

რუსთაველის №4-ში მცხოვრები ლევან ურუშაძე აღნიშნულ მისამართზე მუდმივად არ ცხოვრობს, შესაბამისად მასთან გასაუბრება ვერ მოხერხდა, ხოლო რუსთაველის ქუჩის შესახვევ №6-ში მცხოვრებმა დალი კეჭაყმაძემ (პ.ნ.26001032815) განმარტა, რომ მისი ინფორმაციით რუსთაველის ქუჩას აქვს ერთი შესახვევი და მისამართად ყოველთვის უთითებს რუსთაველის ქუჩის შესახვევ №6-ს.

შესაბამისად, კომისიამ ადგილზე დათვალიერების და მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად დადგენილად მიიჩნია, რომ შოთა რუსთაველის ქუჩას აქვს მხოლოდ ერთი შესახვევი.

2.დღის წესრიგის მეორე საკითხი: კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვირკველიამ სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ღრმაღელეში უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ საკრებულოს წევრის კახა თედორაძის ინიციატივა და სოფ.ღრმაღელის მოსახლეობის მოთხოვნა და წარმოდგენილი დოკუმენტაცია. კომისიამ განიხილა აღნიშნულ ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული უსახელო ქუჩისთვის ყვავილნარის სახელის მიზანშეწონილობის საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-3

წინააღმდეგი – 0

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში, კერძოდ, სოფელ ღრმაღელეში არსებულ უსახელო ქუჩას მიენიჭოს ყვავილნარის სახელი.

ვინაიდან სხვა საკითხები კომისიის წევრების მიერ არ დასმულა, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: **ვერიკო კვირკველია**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

დასკვნა №1/2020

ლანჩხუთი

17.01.2020 წელი

1.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩის სახელდების შესახებ.

დასკვნა:

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში, მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ყვავილნარის სახელი.

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე: ვერიკო კვირკველია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

17.01.2020 წელი
11:30 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ვერიკო კვირკველია	11 25	
2	კახა ბოლქვაძე	11:30	
3	გოდერძი ქურიძე	11:30	
4	კახაბერ ასკურავა		